

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი №13

ქ. გარდაბანი

16 სექტემბერი 2022 წელი 13:30 სთ.

სხდომას თავმჯდომარეობდა:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე მიხეილ გედეხაური

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი:

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

სამირ ხიალოვი

ლაშა ქართლოსიშვილი

ზაზა ონიანი

შახადატ მეხრალიევი

ვუგარ მამედოვი

ლია მეტრეველი

დავით ჭინჭარაული

კამრან ბაბაევი

სახმან მირზოევი

ლევან ბეგლარიშვილი

რასიმი ისაევი

აბდულალი იბრაგიმოვი

ბეთქილი კახიანი

ზურაბი კორახაშვილი

ისლამ მამედოვი

მადონა გაბროშვილი

ტარიელ ჯანხოთელი

მეითხან მეითხანოვი

დავითი ებილაშვილი

რუსტამ ისაევი

ზურაბ ბენდელიანი

ლალი კახურაშვილი

თამარი ხაჩიძე

ანარ მურადოვი

ფლორა ასკაროვა

ეველინა ჩოხელი

მაია შამედოვა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
პირველადი სტრუქტურული ერთეულის - აპარატის  
ხელმძღვანელის ფუნქციების შემსრულებელი -  
ნაია დათუაშვილი.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
მეორადი სტრუქტურული ერთეულის -  
საორგანიზაციო განყოფილების ხელმძღვანელი -  
დავითი მერაბიშვილი.

### **დღის წესრიგი:**

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ოთარი გავაშელიშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: **ზურაბ ბენდელიანი**

2. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №124 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: **ზურაბ ბენდელიანი**

3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

მომხსენებელი: **ზურაბ ბენდელიანი**

### **საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:**

სხდომის თავმჯდომარემ – გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ - მიხეილ გედეხაურმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა. საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად:

## დღის წესრიგი:

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ოთარი გავაშელიშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: **ზურაბ ბენდელიანი**

2. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №124 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: **ზურაბ ბენდელიანი**

3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

მომხსენებელი: **ზურაბ ბენდელიანი**

## საკითხი 1

**გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ოთარი გავაშელიშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ.**

მომხსენებელმა, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ - ზურაბ ბენდელიანმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ოთარი გავაშელიშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ“ და განმარტა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2022 წლის 15 სექტემბერს დარეგისტრირდა საკრებულოს წევრის - ოთარი გავაშელიშვილის პირადი განცხადება №19/19222581-19 უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 43-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის, ამავე მუხლის მე-4 ნაწილისა და „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წევრს - ოთარი გავაშელიშვილს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდა, პირადი განცხადების საკრებულოს აპარატში რეგისტრაციის მომდევნო დღიდან - 2022 წლის 16 სექტემბრიდან, აქედან გამომდინარე მიზანშეწონილი გახდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის არჩევა.

საკრებულოს წევრებმა მოისმინეს აღნიშნული ინფორმაცია და მიიღეს ცნობად.

მიღებულია განკარგულება № 99 - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ოთარი გავაშელიშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ“.

## საკითხი 2

**„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის № 124 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.**

მომხსენებელმა, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ - ზურაბ ბენდელიანმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №124 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, მომხსენებელმა განმარტა რომ სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის ტარიელ ჯანხოთელის მოხსენებითი ბარათი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ, წარმოდგენილი დანართის შესაბამისად, აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია ცვლილებების ასახვა გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №124 განკარგულებაში.

მიღებულია განკარგულება №100 - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის № 124 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

## საკითხი 3

**გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.**

სხდომის თავმჯდომარემ განსახილველად დააყენა დღის წესრიგით გათალისწინებული შემდეგი საკითხი - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ და სთხოვა საკრებულოს წევრებს დაესახელებინათ კანდიდატები.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ - ტარიელ ჯანხოთელმა საკრებულოს სხდომის თავმჯდომარეს წარუდგინა ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურაზე საკრებულოს წევრი - დავით ჭინჭარაული.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურაზე არ იქნა დასახელებული კანდიდატი, ასევე ფრაქციის წევრებმა არ მიიღეს მონაწილეობა ფარულ კენჭისყრაში.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს, მიეღოთ საარჩევნო ბიულეტენები სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიისგან და გაეკეთებინათ არჩევანი.

**ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 22 წევრმა.**

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ - ზურაბ ბენდელიანმა დათვალა მიღებული საარჩევნო ბიულეტენები და საკრებულოს გააცნო კენჭისყრის შედეგები.

ფარული კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 22

წინააღმდეგი- 0

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარედ საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით არჩეულ იქნა - დავით ჭინჭარაული.

მიღებულია განკარგულება №101 - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**სხდომის თავმჯდომარე**

**მიხეილ გედეხაური**

